დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 3 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №31/23
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 27 თებერვლის №31 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უამაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 27 თებერვლის №116/31-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ:

1.1. ბრალდებულ -- -- სასამართლოში პირველი წარდგენის სასამართლო სხდომაზე მოსამართლე -- -- უყვიროდა და გაბრაზებით ესაუბრებოდა მას იმის შესახებ თუ რატომ დაწერა ადვოკატმა კრიტიკული პოსტი სოციალურ ქსელში მოსამართლის მიმართ;

1.2. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე,

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლის 18 მარტს, -- რაიონულმა პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, ბრალდებულ -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს 3 000 ლარის გამოყენების თაობაზე.

სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობა, 2022 წლის 18 მარტს განსახილველად გადაეცა -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს -- --.

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2022 წლის 18 მარტის განჩინებით, პროკურატურის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო 1 500 ლარის ოდენობით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

3.1. საჩივრის ავტორის მიერ 1.1. პუნქტში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი - მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ობიექტურად შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მოსამართლეთა პროფესიული ქცევის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებზე.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს კოლეგებს, პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვა, ხოლო წესრიგის დამრღვევის მიმართ გამოიყენოს კანონით განსაზღვრული სანქცია.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-6 ღირებულების „6.6“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

ბანგალორის პრინციპების თანახმად, სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან. მოსამართლე პირად ანტიპათიაზე მაღლა უნდა იდგეს და არ უნდა გამოყოს სასამართლოში გამომსვლელი ადვოკატებიდან არცერთი. ადვოკატის მისამართით მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნები, სასამართლო სხდომის მხარეთა ან მოწმეთა მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, გესლიანი ხუმრობა, სარკაზმი და თავშეუკავებელი, ტენდენციური ქცევა არღვევს სასამართლო დარბაზში

სასამართლოსათვის შესაფერის წესრიგსა და ეტიკეტს. თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას.[1]

განსახილველ შემთხვევაში, 2022 წლის 18 მარტის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის დეტალური შესწავლის შედეგად, მოსამართლის მიერ პროცესის მონაწილის მიმართ უპატივცემულობის ფაქტი არ გამოვლენილა. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დამატებით განხორციელდა ზემოაღნიშნული სასამართლო სხდომის ვიდეოჩანაწერის გამოთხოვა, თუმცა ვიდეო შემნახველი მასივის ტევადობიდან გამომდინარე (შენახვის მაქსიმაური პერიოდი შეადგენს 8 თვეს), შეუძლებელი აღმოჩნდა ვიდეოჩანაწერის მოძიება.

ამდენად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

3.2. საჩივრის ავტორის მიერ 1.2. პუნქტში მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი“.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[7] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის საფუძვლიანობის შემოწმებისას ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს.[2] იმისათვის, რომ შეფასდეს მოსამართლის ქმედების მართლზომიერება, საჭირო‍ა განხილულ იქნას საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოსამართლის აცილების ნორმატიული საფუძვლები.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას. იმისათვის, რომ მართლმსაჯულების სისტემამ შეასრულოს მისთვის მინიჭებული დანიშნულება - დაამკვიდროს კანონის უზენაესობაზე დამყარებული საზოგადოება და სამართლებრივი უსაფრთხოება, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მოსამართლის მიერ საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. სასამართლოს მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვის პრინციპი და შესაბამისად, გარკვეული წინაპირობების არსებობისას საქმის აცილების ვალდებულება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო უფლების შემადგენელ ელემენტსაც. მიუკერძოებლობა როგორ წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური ტესტით შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს

[1] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 196, §215

[2] დასაბუთებული ვარაუდი - ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა.

კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევასა და მრწამსს, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ (Micallef v. Malt §94). სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ. ობიექტური ტესტით შეფასებისას უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით. ობიექტურ ტესტთან დაკავშირებით აუცილებელია გაირკვეს, მოსამართლის ქცევის მიუხედავად რამდენად აქვს ადგილი ფაქტებს, რომლებმაც შესაძლებელია წარმოშვას ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან მიმართებაში (Hauschildt v. Denmark §48, Micallef v. Malt §96, Pescador Valero v. Spain §21).

მოსამართლის აცილების მიღებული კრიტერიუმია მისი მიკერძოებულობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობა. მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი აზრის არსებობის თაობაზე ვარაუდის საფუძველი დგინდება სხვადასხვა იურიდიული ფორმულების გათვალისწინებით, როგორებიცაა: „მომეტებული ალბათობა“, „რეალური შესაძლებლობა“, „დიდი ალბათობა“, ასევე „საფუძვლიანი ეჭვი“ მიკერძოების თაობაზე. მოსამართლის ქცევა ფასდება ჰიპოთეზური გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან, რათა ხაზი გაესვას გამოყენებული კრიტერიუმის ობიექტურობას, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების აუცილებლობას და მოსამართლის მუშაობის მხოლოდ იმ შეფასებას არ ეყრდნობა, რომელიც სასამართლოს შემადგენლობაში შემავალ მის კოლეგებს შეეძლოთ გაეკეთებინათ.[3]

საქართველოს სსს კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

ა) კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული;

ბ[1]) ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს;

გ) არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;

დ) ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;

დ[1]) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;

ე) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი. ეს წესი ვრცელდება იმ მოსამართლეზე, რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განხილვაში.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლის 22 მარტის სასამართლო სხდომის 19 საათსა და 06 წუთზე ადვოკატმა -- -- დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის -- -- აცილების თაობაზე. ადვოკატმა წარდგენილი შუამდგომლობა დაასაბუთა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სასამართლო სხდომის საწყის ეტაპზე, მოსამართლემ ადვოკატის მიმართ გამოხატა უპატივცემულობა და პირადი დაინტერესება. ადვოკატის შეფასებით, აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა მოსამართლის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

სასამართლო სხდომის 19 საათსა და 12 წუთზე, მოსამართლე -- -- არ დააკმაყოფილა -- -- შუამდგომლობა, მოსამართლის აცილების თაობაზე.

[3] „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და მისი კომენტარები, GIZ, თბილისი, 2015, გვ. 107 §81

2022 წლის 18 მარტის სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერის დეტალური შესწავლის შედეგად, მოსამართლე -- -- მიერ ადვოკატ -- -- უპატივცემულობის ან პირადი დაინტერესების ფაქტი არ გამოვლენილა. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეში არ იკვეთება მოსამართლის აცილების საპროცესო საფუძველი.

ამდენად, მოსამართლე -- -- ქმედებებში არ იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის №-- განკარგულებით, 2024 წლის 19 ივნისიდან -- -- გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2023 წლის 27 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი